

## ს ელ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ.ახალციხე

05.09.2018

ერთის მხრივ ფერმერი ზურაბ სურმანიძე, მცხოვრები ასპინძის რაიონი სოფელ  
რუსთავში, ტ. 577-62-65-47. (შემდგომში „შემკვეთი“), მეორეს მხრივ სსიპ სამცხე-  
ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენელი უნივერსიტეტის რექტორის  
მაკა ბერიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) ვდებთ აღნიშნულ  
ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერის, აგრარულ და  
საზოგადო მეცნიერებათა ფაკულტეტის აგრონომიის მიმართულების  
სპეციალისტების მიერ კვლევების ჩატარება ასპინძის რაიონი სოფელ რუსთავში, ფერშერ ზურაბ  
სურმანიძის სათბურში - თემაზე პამილორის მაცნებლების სახეობრივი შესწავლა სამსურის  
პირობებში.

### 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

#### 2.1 შემკვეთი იღებს ვალდებულებას:

-შემსრულებელს შეუქმნას ხელსაყრელი პირობები კვლევის ჩასატარებლად და  
იმოქმედოს შემსრულებლის მითითებების მიხედვით;

#### 2.2 შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას:

-ჩატაროს კვლევა წინასწარ შედგენილი მეთოდოლოგით;

-პერიოდულად დამკვეთს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ ჩატარებულ  
სამუშაოების შესახებ.

-შემსრულებელი კვლევის დამთავრების შემდეგ დამკვეთს მიაწოდებს კვლევის  
შედეგებს და რეკომენდაციებს

#### 2.3 თუ შესრულებელი სამუშაო არადამაკმაყოფილებელია, შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემკვეთს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება.

### 3. სხვა პირობები

- 3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 01 დეკემბრამდე;
- 3.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
- 3.3 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრუბა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 3.4 ყველა დავას, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავენ სასამართლოს;
- 3.5 ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსრულებელი

დამკვეთი

სსიპ  
სახელმწიფო

სამცხე-ჯავახეთის

ფერმერი ზურაბ სურმანიძე,

უნივერსიტეტი  
ახალციხე, რუსთაველის N 106

მცხოვრები ასპინძის რაიონი

ტ.577-62-65-47

ხელმოწერა

ხელმოწერა გ. ციხ. 2023

